საბა მეტრეველი
Saba Metreveli
თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

სერგეი მესხი – 180
ქართველობის დარაჯი და მცველი

Sergei Meskhi – 180
Guardian and Defender of the Georgian Essence

DOI: https://doi.org/10.62119/lr.45.2025.10036

Sergei Meskhi's main concern, his sorrow and pain, the main purpose of his work and existence was his homeland and nation, which had their freedom and dignity taken from them by Russia. Everything he wrote and covered on the pages of "Droeba" was a kind of campaign aimed at awakening and bringing his poor nation out of its mental crisis. From a patriotic point of view, he was an invaluable phenomenon – always steady, with a pure conscience and a heart burning with love for his country.

Slavery made Georgian people forget and become unaccustomed to many things. Ioane Sabanisdze's warning in the 8th century, that we were mixed in a foreign nation and had forgotten our ancestral path, was already an established fact in Georgia at the time of Sergei Meskhi. Time and circumstances put many traditional and national identity-defining events in danger. In the face of the worldview-aesthetic paradigm of the generation of the new era, going against tradition or fighting it was considered the primary sign of the nation's degeneration. It is precisely this danger that S. Meskhi saw in the life of Georgian people and wrote that there was almost nothing left that connected us with the old life and reminded us of the deeds of our ancestors, as if we wanted to throw away all traditions, get rid of them, and couldn't introduce anything new in their place. Every generation leaves its own style. Sergei Meskhi couldn't adapt to this as well. He was fascinated by everything Georgian, he saw historical context and purpose in it. Fashion is a determinant of the consciousness and taste of society. For S. Meskhi, there was also a discourse expressing the idea of freedom, which

was related to fashion, but innovation should be directed towards national culture – he evaluated the tradition and innovation from this perspective. Sergei received his higher education in St. Petersburg, spent 14 months observing life in Europe and had his eyes on America – taking all this into account, he felt well that Georgian life needed innovation. In general, novelty for him was associated with the degree of freedom and boldness of thought, but in his opinion it should not come at the expense of putting the national identity at risk. At that time, the mediocre everyday life of globalization was not a threat, but S. Meskhi warned Georgian youth that novelty should be compatible with traditional cultural norms; our main niche should not be lost and we should not be mixed with a foreign nation so much that we would face the threat of extinction.

საკვანძო სიტყვები: სერგეი მესხი; „დროება“; ქართველობა
Key words: Sergei Meskhi; “Droeba”; Georgian Essence

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც 1862 წლის 8 ივლისს არის შედგენილი, გვხვდება სერგეი მესხის ლექსი „უცხო თავის მამულში“, რომელიც კარგად ასახავს 17 წლის ავტორის სულიერ პროფილს, მის მოქალაქეობრივ სტატუსსა და იმას, რომ პოეტური სიტყვა ს. მესხისთვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია თავისუფლებისა. „უცხო თავის მამულში“ თავისთავად საინტერესოა სათაურის სახისმეტყველებით. ლირიკული გმირი წუხს იმის გამო, რომ საკუთარ მამულში უცხოა, რაღაც მარგინალურ ძალად ქცეული, და ეს იმ ფონზე, როცა ვერ ბედავს პროტესტის გამოხატვას, ხმის ამოღებას. ქვეყანაში უცხო ძალის

მიერ ჩახშობილია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. კოლონიად ქცეულ და ღირსებაწართმეულ საქართველოში ბატონობს შიში. ეს ფაქტორი დამთრგუნველად მოქმედებს ყველაზე, ვისაც კი საზოგადოებრივ ასპარეზზე საჯაროდ „კეთილის თქმა“ სურს. ყოფიერების ერთიან სტრუქტურაში ჩაწნულია უნდობლობა და ფარისევლობა, სიყალბე და თვალთმაქცობა. სერგეი მესხი გაგვანდობს იმასაც, რომ აბრალებენ უღმერთობას, რომ საკუთარ მამულში შეიძლება გახდეს აგრესიის მსხვერპლი, რადგან აშკარაა როგორც ვერბალური, ისე ფიზიკური ძალადობა, – მუქარა ცემისა. ასეთ ტოტალურ აგრესიაში იბადება დიდი პოლიტიკური და იდეოლოგიური გაუგებრობა. როცა ძალა აღმართს ხნავს და, როცა პიროვნება ნიველირებულია, როცა ირგვლივ შიში და ძალადობაა, იწყება რეალობის კრიზისი. მსგავს გარემოში, რა თქმა უნდა, ახალგაზრდას დახშული აქვს პერსპექტივის შეგრძნება:

„ერთი მემუქრის: „წახვალ ციმბირში!“
მეორე მლანძღავს, მაყრის ვაებას.
ამას ველოდი ჩემსა მამულში,
სადაც ვეძებდი თავისუფლებას?!!...“.
(ხეც, H-1514-დ).

ლექსს თავიდან ბოლომდე რეფრენად გასდევს საწყისი ემოციური იმპულსი: ამას ველოდი ჩემსა მამულში, / სადაც ვეძებდი თავისუფლებას?!!... თითქოს საგრძნობია ადამიანური უმწეობის ექსისტენციური სიღრმისკენ უკუსვლა. ს. მესხის ეს ლექსი ზუსტად ასახავს თაობის განწყობას, სრულ უიმედობასა და იმის საშიშროებას, რომ გაუბედაობა სახელმწიფოს რეპრესიული მანქანის დამდგარი შედეგია და, შესაძლოა, ეს შიში იქცეს მართვის ბერკეტად, რიტმად, რეჟიმად, ცხოვრების წესად. ლექსის სტრიქონებში ავტორი გვიმჟღავნებს იმ გულგატეხილობას, რომელიც ქუთაისის გიმნაზიის მოწაფეს დაუფლებია. ფაქტი მკაცრი იყო, იმედი და მოლოდინი გაცრუებული – თავისუფლების ნაცვლად მონობას შეგუებული მშვიდი ერი და სამშობლო, რომელიც ღმერთმა მიატოვა!

გიმნაზიის კედლებიდანვე ასეთი ეროვნული ენერგიითა და მუხტით, სამშობლოს თავისუფლების იდეით შეპყრობილი მოემართება მამულიშვილი, რომელიც საკუთარ სიცოცხლეს მიიტანს ერის სამსხვერპლოზე.

ს. მესხი თავის ერთ-ერთ პირველ პუბლიკაციაში ქართველი საზოგადოების ცხოვრებას ადარებს ევროპულის, კერძოდ, საფრანგეთის

ცხოვრების მოდელს და წუხს იმის გამო, რომ ჩვენ სრულიად განსხვა-*ვებული, „სხვა ხასიათის კაცები ვართ: თავქარიანობისა არა ვიცით რა; ვცხოვრობთ წყნარათ, შეუშფოთებლათ; ჩვენ დამდგარი ხალხი ვართ – ერთი სიტყვით, ბეჭდვაზედ, პროგრესსზედ და სხვა ამისთანაებზედ ჩვენ არ გვეჭირება ლაპარაკი“.* ამ წმინდად ევროპული ორიენტაციის მოაზროვნის ეს შეფასება ხომ, თავისთავად, საყურადღებოა, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ის ამ სტატიაში იტყვის. გასაოცარი ისაა, როგორ გაეპარა ცენზორს ეს ფუნდამენტური მნიშვნელობის დიაგნოზი, ს. მესხისეული დასკვნა იმის შესახებ, თუ რატომ ვართ ისეთი, როგორიც ვართ; რატომაა მიძინებული ქვეყნის ეროვნული ენერგია; რატომ არ ღვიძავს ქართულ სულს საქვეყნო საქმეებისთვის. დასკვნა ასეთია: „რადგან, **ჩვენ ჩვენი მზრუნველი გვყავს, და ჩვენ საჭიროებას და მოთხოვნილებას ის უკეთ მიხვდება, ვიდრე ჩვენ“** (გაზეთი „დროება“, 1869, N16) – ესაა მონობაში მყოფი ერის ფსიქოლოგიური პორტრეტი, მისი სულიერი რელიეფი, მისი სტატუსი: პირადი ძალისხმევის დეფიციტი, პასუხისმგებლობის განულებული გრძნობა, როცა მზრუნველი და შენი ცხოვრების წარმმართველი სხვაგან გეგულება და ავტომატურად მასვე აკისრებ იმის გადაწყვეტას, რაც შენ უკეთ გესაჭიროება. ამ ინერციით იცხოვრა ქართველმა ერმა ორი საუკუნე – რუსეთის კოლონიად ქცეულმა და მასზე მინდობილ-მიყრდნობილმა.

ს. მესხი მკვეთრად ანტირუსული განწყობის ადამიანია, კატეგორიულად ემიჯნება ერთმორწმუნე დამპყრობლის ანტიქართულ პოლიტიკას და ამას არაერთი ფაქტი ადასტურებს, მათ შორის ეს მნიშვნელოვანი შემთხვევაც: საცოლეს, ეკატერინე მელიქიშვილს, 1874 წლის 31 მაისს პარიზიდან სწერს, რომ დიდი სურვილი აქვს საქართველოს ისტორია ერთ პატარა წიგნად გამოვიდეს. ოღონდ, მისი აზრით, ეს ისტორია უნდა დაიწეროს საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე:

> „და ამის შემდეგ, მართალი გითხრა, მე სრულებით არ მქონდა აზრში, რადგან ვიცი, რომ 1800 წლის შემდეგ ჩვენი ისტორიის დაწერა ხეირიანად და პატიოსნად არ მოხერხდება, ცენზურა ნებას არ მისცემს. მმართებლობა ნებას არ მისცემს იმისთანა ისტორიის დაბეჭდვისას, რომელშიაც ყველა იმის მოქმედებისა და განკარგულებების (საქართველოში) ქება არ იქნება, რომელშიაც გამოთქმული არ იქნება ის აზრი, რომ **რუსეთთან შეერთებით საქართველოს ბედნიერი ნეტარი ცხოვრება მიენიჭაო, – და ამისთანა ისტორია სარგებლობის მაგიერ ვნებას მოიტანს.** მართალი

> გითხრა, ჩვენი ისტორიით ძნელად შეიძლება იმის დამტკიცება და ჩვენება, რომ ძველად ჩვენი მეფეების ხელში საქართველო უფრო ბედნიერ მდგომარეობაში იყოო, ვიდრე ეხლა – რუსეთის მფლობელობაში. უბედურ საქართველოს მშვიდობით, ბედნიერად და კაცურად თითქმის არასოდეს არ ღირსებია ცხოვრება, მაგრამ **წასულ დროს ის უპირატესობა მაინც ქონდა, რომ ხალხი სხვა ხალხისაგან დამოუკიდებელი იყო და იმედი ჰქონდა, რომ თავის გაჭირვებულ, გაძაღლებულ ცხოვრებას დღეს თუ არა, ხვალ შეიცვლიდა“** (მესხი, 1950, გვ. 143-144).

თავისუფლების ის ყივილი, რომელიც ამ სიტყვებიდან მოისმის, ილიას ლელთ ღუნიას მთავარი საწუხარის ახლებური გახმოვანება იყო. ს. მესხის შინაგანი პროტესტიც ისაა, რომ ჩვენი თავი „ჩვენადვე აღარ გვეყუდნის“. თავისთავად, ამის გაცნობიერება ქცევის მოდელირების შეცვლას იწვევს და 60-იანელთა თაობის მიზანიც ესაა. როცა ერი გაიაზრებს საკუთარ მდგომარეობას, მინიმუმ ნოსტალგია გაუჩნდება თავისუფლებისა, მაშინ დაიწყება მოქმედება და ამ მთლიანობაში ადრე თუ გვიან ქვეყანა დაიბრუნებს თავის სახეს, მიუბრუნდება წარსულს და მასთან ღია დიალოგში ეზიარება სულიერ ნათელს, რომელიც თავისუფალი მომავლის კარიბჭედ შეიძლება მოგვევლინოს.

სიმართლის ხმამაღლა თქმა ს. მესხის შინაგანი მოთხოვნილება იყო. მართალია, ხშირად ნიღბავდა თავის სატკივარს, მაგრამ მაინც ახერხებდა მთავარი აქცენტების მკაფიოდ გამოხატვასაც. ხშირად მისი ტექსტის ქვეტექსტშია საძიებელი მთავარი საწუხარი:

> „მართალია, კაცობრიობის ისტორიაში ჩვენ ხშირათ ვხედავთ, რომ წვრილი, სუსტი ხალხები დიდ და ძლიერ ხალხს დაუპყრია და ხანდახან სრულიათაც მოუსპია, მაგრამ ამ შემთხვევაში ძლიერ ხალხებს განა კაცობრიობის სარგებლობა და არა საკუთარი თავისა ჰქონიათ მხედველობაში? ამ საქმეში ფიზიკურ ძალასა და ერთის მხრის მატარიალურ სარგებლობას ჰქონია ადგილი და არა ზნეობით მხარესა და კაცობრიობის წარმატების აზრს“ (მესხი, 1962, გვ. 257).

დაკვირვებულ მკითხველს არ გაუჭირდება იმის მიხვედრა, რომელია ის ძლიერი ქვეყანა, რომელმაც მცირერიცხოვანი ერი დაიპყრო.

1875 წლის „დროებამ“ თავის მკითხველს აუწყა, რომ ქუთაისში გამოჩნდნენ სცენის მოყვარულები, რომლებსაც დაოსტატების სურვი-

ლი აქვთ „რუსულ თეატრის შკოლაში“, მაგრამ „**ისრე ელემენტარული, დაუწყობელი და უგვარო სასწავლებელი, როგორც რუსეთის თეატ-რალური სასწავლებელია,** მსურველს ვერაფერს ვერ მისცემსო. ს. მესხი იმოწმებს რუს მსახიობს, რომლის აზრსაც ეთანხმება და იზიარებს, რადგან, ვისაც ნიჭი აქვს და სურვილი, გონება გაიხსნას წიგნების კითხვით, დაკვირვებით და ხეირიანი მიმართულების გახდეს, „თვით პრაქტიკა სცენაზედ ამზადებს უფრო, ვიდრე – თეატრული შკოლა“ („დროება“, 1875, N33). რა თქმა უნდა, სერგეი მესხი სპეციალური სამ-სახიობო განათლების მიღების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ არ ენდო-ბა რუსულ სკოლას; დროისა და ფინანსების ზედმეტ ხარჯვად მიაჩნია იქ მსახიობის ხელოვნებაში დასაოსტატებლად ახალგაზრდების გაშვება, რადგან, როგორც ჩანს, ევროპაში „უცხო ქვეყნის განვითარე-ბულ სცენაზე“ იმაზე გაცილებით მაღალმხატვრული ხარისხი ჰქონდა ნანახი, ვიდრე – რუსული თეატრში.

რუსეთის უღლის ქვეშ ცხოვრებამ ერი გადაგვარებამდე მიიყვანა. ყველაზე თვალში საცემი ნიშანი ეროვნული ცნობიერების კრიზისისა ის იყო, რომ ქართველ ადამიანს ერთიანი ქვეყნის განცდა აღარ ჰქონ-და. თავის დროზე ვახუშტი ბატონიშვილი სიამაყით წერდა, რომ საქართველოს რომელი კუთხის შვილსაც არ უნდა ჰკითხო ვინაობა, უმალ მოგიგებს, რომ ქართველია:

> „უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა, და ჰერკახსა, რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს: „ქართველი“. მეორედ, არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი-იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნული: და ჰკითხო რა წინათქმულთა მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყი“, მოგიგებს მყის: „ქართული“. რამეთუ არა იტყჳს, არაცა რჯულსა, ენასა და წიგნს იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერკახთასა, არამედ ქართულსა“ (ბაგრატიონი, 1973, გვ. 291-292).

ს. მესხი შეშფოთებას ვერ მალავს იმის გამო, რომ ქართველ ადა-მიანს დაკარგული აქვს ოდესღაც დიდი – ნიკოფსიიდან დარუბანდამ-დე გადაჭიმული – საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, განცდა. ამიტომაც წერდა დანანებით:

> „მგონია, მეორე მაგალითი ვერ მიჩვენოთ, რომ ისეთი პატა-რა ქვეყანა, როგორიც საქართველოა, ამდენ პატარა ხალხებათ და ქვეყნებათ იყოს დაყოფილი. უკანასკნელი რომ ვსთქვათ, ოცი

სხვადასხვა სახელის ხალხი მაინც ცხოვრობს ჩვენს პატარა საქართველოში. მე ვსთქვი „სხვა და სხვა სახელის ხალხი“-მეთქი და არა ტომისა. მართლაც, ვინ არ იცის, რომ უმეტესი ნაწილი ამ წვრილი ხალხებისა ხასიათით, ენით, სარწმუნოებით და ჩვეულებებით ნამდვილნი ქართველნი არიან? მაგრამ ერთს ჰქვია ქართლელი, მეორეს კახელი, მესამეს იმერელი, მეოთხეს გურული, მეხუთეს მეგრელი, მეექვსეს თუში, მეშვიდეს ფშავი, მერვეს ინგილო და სხვა. თითოეული ამ პატარა ალაგების მცხოვრებს რომ ჰკითხოთ, ვინ ხართქო? – **არასოდეს არ გეტყვის ქართველი ვარო!** ქიზიყის ქართველი უსათუოდ გეტყვისთ – ქიზიყელი ვარო, თუშეთის ქართველი – თუშელი ვარო, სამეგრელოსი – მეგრელი ვარო და სხვ. სახელი რა არის? ვისაც რა უნდა დაირქვან! სახელი ფუჭი ხმაა. მაგრამ შესანიშნავი ის არის, რომ ეს მხარეები, რომელნიც ერთ დროს ერთ ოჯახს, ერთ ხალხს შეადგენდნენ, ეხლა ყველაფერში დაშორებულნი არიან ერთმანეთზე. კახელი სრულებით ვერ იცნობს იმერელს, იმერელი – ქართლელს, ქართლელი – თუშს, ქიზიყელი – ფშაველს და სხვ. ვის არ უნახავს, როგორ ეუცხოებათ იმერელი თფილისში. საწყალი იმერელი ისე ვერ გაივლის ბაზარში, რომ ერთი თხუთმეტჯერ მაინც – იმერელო! უ! უ! არ მიაყვირონ და ზედ ათასი ბრანწი არ დააყოლონ. მე თვითონ მინახავს ქუთაისში, რომ პატარა ბიჭები უკან მისდევენ ჭართლელ მეურმეს და მისძახოდნენ: ხი! მამო! კამეჩი გაიქცა, შენმა მზემა, ხი! რამდენი ასეთი უაზრო და უსაფუძვლო არაკებია ქართლ-კახეთში იმერლებზე და იმერლებში – ქართლ-კახელებზე გავრცელებული, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ეს სამი ერთმანეთის მეზობელი ქვეყნები სრულიად ვერ იცნობენ ერთმანეთსა?“ (მესხი, 1962, გვ. 89).

სერგეი მესხის მთავარი საფიქრალი, მისი დარდი, ტკივილი, მისი მოღვაწეობისა და არსებობის მთავარი მიზანი რუსეთის მიერ თავისუფლებაწართმეული სამშობლო და ღირსებააყრილი ერი იყო. როცა მან „დროება“ აირჩია ასპარეზედ, მის ფურცლებზე თუ რამეს წერდა და აშუქებდა, ეს იყო თავისი ღარიბ-ღატაკი ერის მენტალური კრიზისიდან გამოყვანისა და გამოფხიზლებისთვის მიმართული ერთგვარი აქცია. თამამად, ყოველგვარი შეღავათის გარეშე შეიძლება იმის თქმა, რომ მამულიშვილური თვალსაზრისითაც ის შეუფასებელი მოვლენა იყო – მუდამ გაწონასწორებული, სუფთა სინდისისა და ქვეყნის სიყვა-

რულით ანთებული გულით. როდესაც ომის მნიშვნელობაზე წერდა, გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“ გაახსენდა – ომის შემდგომ ღამე ლხინი, და პოეტის ცნობილ სიტყვებს ასე უპასუხა:

> „ერი გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა, / შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა!“ – სად არის ახლა ეს ერი? პურადობა კიდევ, ჰო, სულ არ დაგვიწყნია, მაგრამ ქართველ ერზე ახლა განა შეიძლება ითქვას, რომ არის „გულადი“? რომელი „შავი ბედის მებრძოლი“ ვართ? სადღა სჩანს ჩვენში „გული ანდამატისა“? განა „შავთა დროთ“ ვერა „შესცვალეს?“. შეგვცვალეს და ძალიანაც შეგვცვალეს. ადრე ჩვენ მუდამ მოძრაობაში ვიყავით, მუდამ გარშემო და შიგნით მტერს ველოდით და ვებრძოდით, მუდამ ჩვენი ქვეყნის და ხალხის თვით-არსებობაზე უნდა გვეზრუნა“ (მესხი, 1963, გვ. 271).

„ხალხის თვით-არსებობაზე“ ზრუნვა ბევრი რამის გააზრებასა და გადაფასებას გულისხმობდა. მონობაში ცხოვრებამ ბევრი რამ დაავიწყა და გადააჩვია ქართველ ადამიანს. მე-8 საუკუნეში იოანე საბანისძის გაფრთხილება „აღვერიენით ერსა უცხოსა და დავივიწყეთ მამულისა ჩვეულებისაებრ სლვაჲ“ სერგეი მესხის თანამედროვე საქართველოში უკვე შემდგარი ფაქტი იყო. დრომ და გარემოებამ ბევრი ტრადიციული, საკუთრივ ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი მოვლენა საფრთხის პირისპირ დააყენა. ახალი ეპოქის თაობის მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური პარადიგმის პირობებში ტრადიციის წინააღმდეგ წასვლა ან მასთან ბრძოლა ერის გადაგვარების უპირველეს ნიშნად მიიჩნეოდა. სწორედ ამ საფრთხეს ხედავს ს. მესხი ქართველი ადამიანის ყოფითს ცხოვრებაში და შეშფოთებული წერს:

> „თუ შევხედავთ ჩვენს აწინდელს ცხოვრებას, თუ მოვიგონებთ, რომ ამჟამად ჩვენი წარსული ვითარებისა და ცხოვრების მოსაგონებლად თითქმის არაფერი არ გვრჩება, რაც ძველი რამ ჩვეულება, დღესასწაული, ქეიფი, დროს გატარება და სხვა ყოველი, რაც ჩვენ ამ ძველ ცხოვრებასთან გვაკავშირებდა, რაც ჩვენ წინაპართ საქმეებს გვაგონებდა, ყველა ესენი ჩვენ თითქო გვინდა გადავაგდოთ, – და ამათ ნაცვლად ახალი კი ვერაფერი ვერ შემოგვაქვს და მაგრე ადვილად ვერც შემოვიტანთ. ყეენობის მაგივრად მასკარადები გაჩნდა! მუშტის კრივის ნაცვლად მწვანე მაუდზე კარტით ბრძოლა! ჯირითის, ბურთაობის მაგივრად – ტან-

ცი! და ყველა ეს ხომ სახალხო დროს-გატარებაც არ არის; ეს მარტო ესრედ წოდებულ განათლებულებისა და შეძლებულებისათვის გაუჩენიათ. ხალხს კი თავის დროების გასატარებლად, საქეიფო ადგილად და სამხიარულოთ მარტო სამიკიტნოები და ხატობა დარჩენია! (მესხი, 1963, გვ. 177-178).

ყოველ ადამიანს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი ეროვნული უნიკალობა და ისიც, რომ სხვა ქვეყნისთვის, სხვა კულტურისთვის ის თავისი თვითმყოფადობითაა საინტერესო და ამაზე უარის თქმა, ფაქტობრივად, ერის თვითმკვლელობის ტოლფასია. ს. მესხს სურს კიდევ ერთხელ უთხრას თანამოძმეს, რომ ტრადიციების დაცვასა და ერთგულებაში, ერის *„ჩვეულებებში იხატება ყოველი ხალხის, ნაციის განსხვავებული თვისება, ნაციონალური ხასიათები. ფრანცუზს ყველაფერში ფრანცუზობა უნდა ეტყობოდეს, ინგლისელს ინგლისელობა, რუსს რუსობა, ქართველს ქართველობა“* (მესხი, 1963, გვ. 177-178).

ქართველ ადამიანში არის განსაკუთრებული არტისტიზმი, ესთეტიკის მწვავე მოთხოვნა და მით უფრო – ახალგაზრდობაში. ყოველი თაობა თავის სტილს ტოვებს. სერგეი მესხი აქაც ჩასაფრებულია და ვერაფრით ვერ ეგუება მოდის ფეხის ხმას აყოლილებს. მას ყველაფერი ქართული ხიბლავს, მასში ხედავს ისტორიულ შინაარსსა და დანიშნულებას. მოდა საზოგადოების ცნობიერებისა და გემოვნების განმსაზღვრელია. ს. მესხისთვისაც არსებობს თავისუფლების იდეის გამომსახველობითი დისკურსი, რომელიც მოდას უკავშირდება, მაგრამ სიახლე უნდა მიემართებოდეს ეროვნულ კულტურას – ამ გადასახედიდან აფასებს ის ტრადიციულსა და ნოვატორულს. სერგეის პეტერბურგში ჰქონდა უმაღლესი განათლება მიღებული, ევროპაში 14 თვე აკვირდებოდა ცხოვრებასა და თვალი ამერიკისკენ ეჭირა – ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კარგად გრძნობდა, რომ სიახლე სჭირდებოდა ქართველის ცხოვრებას. ზოგადად, სიახლე მისთვის თავისუფლების ხარისხსა და აზროვნების გაბედულებას უკავშირდებოდა, მაგრამ ეს არ უნდა მომხდრიყო ეროვნულის საფრთხის ქვეშ დაყენების ხარჯზე. მაშინ გლობალიზაციის უღიმღამო ყოფითობა არ ემუქრებოდა სამყაროს, მაგრამ ს. მესხი აფრთხილებდა ქართველ ახალგაზრდობას, რომ სიახლის მიმართება ტრადიციულ კულტურულ ნორმებთან თავსებადი უნდა ყოფილიყო; არ უნდა დაკარგულიყო ჩვენი მთავარი ნიშა და ისე არ უნდა ავთქვეფილიყავით უცხო ერში, რომ გაქრობის საფრთხის წინაშე დავმდგარიყავით. არადა, საშიშროება რეალური იყო:

„მოდის მიმდევარი ქართველობა მამრობითი და განსაკუთრებით მდედრობითი სქესისა გულმოდგინეთ ასრულებს ამ მოდის მოთხოვნილების: საჩქაროთ იხდის ქართულ თავ-ხურვას, კაბას და სარტყელის მაგიერ – კორსეთები, ჩვენებური ჩოხის ნაცვლად – რუსული სერთუკი, ქუდის მაგიერ – ფურაშკა, ნაბდის მაგიერ – პალტო! ყველა ძველებურ ჩვეულებას ვტოვებთ და ვითომც ახალ წესებს ვითვისებთ; მამაპაპური გმირული კეთილშობილების მაგიერ – ახალი, უფრო პრაქტიკული ხასიათები გვიჩნდება... ახალი დროება ამას თხოულობსო, – ამბობენ. უკაცრავათ ნუ ვიქნები, და ახალი დროება კი არა, ამას მხოლოდ ჩვენი მეტიჩრობა მოითხოვს... რა დააშავა ჩვენებურმა ჩოხამ, ახალუხმა, ქუდმა, თავსაკრავმა? რითია სხვა თამაშებზე ნაკლები ჩვენი ბურთაობა, ჭიდაობა, ფალავანდობა, ჯირითობა? რითია დასაძრახისი ჩვენი ქართველობა, რომ ვეცილებით, რომ სხვა ტომათ გადაკეთება გვსურს? ცვლილება გვჭირია, მაგრამ ისეთი კი არა, რომელიც თან ჩვენს გაუფერულებას, ჩვენს გაქრობას მოიტანს“ (მესხი, 1962, გვ. 434-435).

ბუნებრივია, ყოველ ერს, ხალხს თავის საკუთარი ხასიათი, თავისი ჩვეულება, ფერი, ერთი სიტყვით, თავისი სახე უნდა ჰქონდეს, რადგანაც მათ მოსპობას არცერთი კულტურული და განათლებული ხალხი არ ცდილობს – ასე სწამდა და სჯეროდა ს. მესხს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ის აკრძალვების ენით არ ესაუბრებოდა ახალგაზრდობას, რადგან, ზოგადად, „არას“ ფენომენი ნეგატიურ აქტივობად განიხილება და მან შეიძლება თვითშეფასება დაუნგრიოს ადამიანს. სერგეი ბუნებით დემოკრატი იყო, ამიტომ საკუთარ აზრს იმპერატიული აუცილებლობის სახით არასდროს აწვდიდა მკითხველს და მას არაფერს ავალდებულებდა. მისთვის მიუღებელი იყო ყოველგვარი იდეოლოგიური ძალადობა, მხოლოდ დიალოგი შეეძლო მკითხველთან და ამ ინტერაქციაში სურვილი უჩნდებოდა, თანამოაზრე ეპოვა, რომ ქართველ ადამიანს ერწმუნა და თავისი ცხოვრების წესად ექცია ტექსტში ასახული პრინციპი. როცა თავმოყვარეობა კუჭსმოყვარეობაშია გაცვლილი, როცა პიროვნული და ეროვნული ღირსების შეგრძნება ერში განულებულია, სერგეი მესხს უჩნდება მწვავე პროტესტი და ყოველგვარი შელამაზების გარეშე მისეული შეფასებაც რეალობის მძაფრი განცდის შედეგია:

„დიდი მწუხარებით უნდა აღვიაროთ... რაც დრო და ჟამი მიდის, თანდათან ეტყობა, რომ ჩვენ ხალხს აკლდება თავმოყვარეობა, აკლდება კეთილშობილური მიდრეკილება ხასიათისა და ემატება სულის სიმცირე და მხოლოთ საკუთარი თავისა (ანუ უკეთ ვსთქვათ კუჭის) მოყვარეობა... მიჩვენეთ, ვის ესმის ახლა რიგიანათ თავმოყვარეობა? დამისახელეთ, ვის არ მიაჩნია თავმოყვარეობა თავის საკუთარი კუჭის გაძღომათ?.. ყველა მზათ არის თავის მოძმეს სამარე გაუთხაროს, თუ კი იცის, რომ ამით თვითონ იმას რაიმე შეემატება“ („დროება“, 1873, N6).

ქართველის თითქოს გენეტიკური მიდრეკილება ყოველგვარი უცხოსადმი, უცხოურის უაპელაციოდ მიღება, გაფეტიშება და უმოტივაციო სიყვარული ბევრ პრობლემას უჩენდა ქართველ ერს. ასეთ ფონზე სერგეი მესხი უფრო გამოჰკვეთს საკუთარ მისიასა და ასაბუთებს იმ თვალსაზრისს, რომ სწორედ ახლაა დრო, დარაჯად დაუდგე ნაციონალურს, ყარაული გახდე ეროვნული ტრადიციისა, იზრუნო მის გაფრთხილებასა და გადარჩენაზე. დიაგნოზი მძიმე იყო – უნდა დავიცვათ საწყალი საქართველო:

„ყველაფერს გარეშე და შინაური მტრები ემუქრებიან, ყველაფერს დარაჯი და დამცველი სჭირია. ასე რომ, ჩვენი დანიშნულება, შედარებით რომ ვსთქვათ, სწორეთ დარაჯის, ანუ ყარაულის, დანიშნულებასა გავს: როგორც ყარაულმა უნდა დაიცვას რომელიმე სახლის ან ვსთქვათ ადამიანის სიმრთელე, ისე ჩვენც ვალდებულნი ვართ, რაც ღონე გვექნება და მოხერხება ნებას მოგვცემს, **დავიცვათ ჩვენი საწყალი საქართველო**“ (მესხი, 1950, გვ. 2).

ევროპაში მყოფი ს. მესხი ბევრ საერთოს პოულობს შვეიცარიასთან, გულდასმით სწავლობს ამ ერის ცხოვრებას, აკვირდება, აანალიზებს და ავტომატურად თავის სამშობლოს ადარებს. აქაც ამოხეთქს მისი ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთება და თავისუფლების მწვავე მოთხოვნა:

„ყოველი შვეიცარიელი ყველაზე პირველათ თავის მამულის მოყვარულია. არც ერთი მეორე ხალხი არ მოიძებნება დედამიწაზე, რომელსაც ისე უყვარდეს თავის პატარა, მაგრამ მშვენიერი სამშობლო, როგორც – შვეიცარიელს. ის გრძნობს, რომ თავის ქვეყნის ბედნიერება იმის საკუთარი ბედნიერებაა, და სამშობ-

ლოს დამცირება იმის დამცირებაა. ამის გამო ის, მართლაც, ისე უვლის, ისე უყურებს თავის სამშობლოს, როგორც შვილი – თავის მშობელს. **შვეიცარიელი გრძნობს, რომ თავისუფალი წევრია თავის ხალხისა და არა ვისიმე ქვეშევრდომი.** ის ამაყობს თავის სამშობლოთი, არავის არ მისცემს იმის დამცირების და შეურაცხყოფის უფლებას; გაჭირების დროს, როდესაც შვეიცარიას რამე შიში მიადგება, მთელი ხალხი, როგორც ერთი კაცი, ისე ადგება ხოლმე და გადის ბრძოლის ველზე“ (მესხი, 1963, გვ. 380).

მეტი რაღა უნდა ეთქვა სერგეი მესხს, კიდევ როგორ უნდა მიენიშნებინა მიძინებული სამშობლოსთვის, რომ მონობაში იყო; ან ეს სიტყვები როგორ დაუბეჭდა ცენზურამ, როგორ გამოეპარა თავისუფლების დისკურსი, როცა იქვე ს. მესხი გვეუბნება, რომ შვეიცარიის ყველა სახალხო სახლზე ორი სიტყვა წერია – **„მამული და თავისუფლება“** – და ამ ორი, ერთმანეთში განუყოფელი საგნისთვის, ისინი არაფერს არ ზოგავენ... ხალხი ცოცხალი, მხნე, მშრომელი, თავისუფლებისა და სამშობლოს მოყვარე (იქვე, გვ. 381). მთელი თავისი მცდელობით, ამ ქვეტექსტებითა და იმპლიციტური ინფორმაციით სერგეი მესხი ეპოქის კულტურულ-პოლიტიკურ ტიპს განსაზღვრავს. მისი ევროპული დღიურები თავისუფლების იდეის მეტაფორული გრადაციაა. მას არ ასვენებდა ერისა და მამულის სიყვარული. ჯერ კიდევ 1872 წელს წერდა: **„თითქმის სრულიად დავიწყებული გვაქვს მამულის სიყვარული და საზოგადო საქმის სამსახური“** (მესხი, 1962, გვ. 282).

ერის ხსნა, წარმატება ქვეყნისა განათლებაშია – ესაა საწინდარი უკეთესი მომავლისა – ასე სჯეროდა ს. მესხს. ბუნებრივია, მას ქართველი ადამიანის წარმატება ახარებდა, მაგრამ უცხოეთში შეძენილი ცოდნა და მიღებული გამოცდილება მხოლოდ სამშობლოს სამსახურისთვის ემეტებოდა. კაცობრიობას ემსახურება ის, ვინც საკუთარ ქვეყანას ერთგულ გუშაგად უდგას. ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებასაც ეს გამართლება აქვს – საზოგადო სამსახური ქვეყნისა და არა პირადს კეთილდღეობაზე ფიქრი. ს. მესხის ეს თვალსაზრისი თანაბრად ვრცელდება ყველა სფეროზე და, უპირველესად, – განათლებაზე: *„ჩვენი ჰაზრი მუდამ ეს ყოფილა და ეს არის, რომ ამ დროინდელი ქართველი, რაგვარი მეცნიერიც არ უნდა იქნეს, ჩვენს ქვეყანაში უნდა მოვიდეს, თავის ხალხს უნდა დააჩნიოს თავის სწავლის კვალი, თავის საზოგადოებაში უნდა იშრომოს, თავის აღმზრდელ ხალხს უნდა გამოაყენოს ყველა გვარი ცოდნა, რომელიც იმას შეუძენია“* (მესხი,

1963, გვ. 165). თუ ამ შეგნებითა და დამოკიდებულებით იცხოვრებდა ქართველი, მაშინ ბევრი რამ მოგვარდებოდა, გაჭირვებაში მყოფ ერს ყოველდღიური ცხოვრება შეუმსუბუქდებოდა. ამიტომაც არ სჯეროდა სერგეის იმ ადამიანებისა, რომლებიც თითს ქართველი ერის უმეცრებისკენ იშვერდნენ: *„სულ ტყუილია: ჩვენი ხალხი გაუნათლებელი, უმეცარი, ცრუ-მორწმუნე ხალხიაო. დაანახვეთ იმას ისეთი რამე ახალი, რომლის გაგება და შემოღება შეეძლოს, და დარწმუნებული იყავით, შეითვისებს: უჩვენეთ რომელიმე ახალი საქმე, დაუმტკიცეთ, რომ ეს საქმე იმას ცოტათი მაინც გამოიხსნის თავის გაჭირვებული მდგომარეობიდამ, და იმ წამსვე მოეჭიდება“* (მესხი, 1963, გვ. 135).

სერგეი მესხის კაცთმოყვარე გული, მისი პიროვნული კონსტიტუცია გამორიცხავდა ძალადობასა და ყოველთვის ემიჯნებოდა სიძულვილის დისკურსს. მას სჯეროდა, რომ ერთმანეთის სიყვარულით ვიქმნებით და ვარსებობთ – ეს დამოკიდებულება ჰქონდა, უპირველესად, ახალი თაობის მიმართ, ამიტომაც კატეგორიულად არ ეთანხმებოდა საზოგადოების იმ ნაწილს, ახალგაზრდობას რომ განიკითხავდა:

> „ჩვენი განათლებული ახალგაზდობის განკიცხვა და გინება მოდათ შემოვიდა ჩვენში. ყველა და ყველგან ამ ახალგაზრდობას ჰკიცხავს, ყველა უბედურებას იმას აბრალებენ. ჩვენი უმეცრება, სიღარიბე, ზნეობითი სისუსტე, სიზარმაცე, ცრუმორწმუნოება, ერთის სიტყვით, ყველა ნაკლულევანება, რაც ჩვენს მაღალ და მდაბიო ხალხსა აქვს, ყველა ესრედ წოდებულის განათლებულ ახალგაზდობის ბრალი არისო!“ (მესხი, 1964, გვ. 127).

1876 წელს სერგეი მესხი გაზეთ „დროების“ ფურცლებზე წერდა იმ საფრთხის შესახებ, რომელსაც ეროვნული გადაგვარება გვიქადდა. არ უნდა იყოს შემთხვევითი მისი ამდენი ფიქრი და დარდი ამ პრობლემის გარშემო. ქვეყნის მომავალი – ახალგაზრდობა თუ ეროვნულ გრძნობას დაკარგავდა, თუ მისთვის სამშობლო მხოლოდ სიტყვად დარჩებოდა და ვერ გახდებოდა ნაწილი მისი კულტურისა და ისტორიისა, ვერ შეძლებდა ტრადიციის, ნაციონალური ხასიათის შენარჩუნებას და შერეულ ტომად ჩამოყალიბდებოდა, მაშინ აზრი დაეკარგებოდა ყველაფერს. ფაქტობრივად, გადასარჩენი იყო ეროვნული იდენტობა და ამ გზაზე ყველას სიფხიზლე და საქმის მიმართ მამულიშვილური დამოკიდებულება მოეთხოვებოდა:

„როგორ გეჩვენათ ეს ქვეყანა? როგორ მოგწონთ ეს თაობა? როგორი მიმართულება აქვს ჩვენს ახალგაზდობას – ჩვენი ქვეყნის მომავალ იმედს და დედა-ბოძს? განა ყველგან არ ჰხედავთ, რომ ქართველთ ქვეყანას ჩვენისავე წყალობით ქართული ქვეყნის ხასიათი ეკარგება? განა ყოველ ბიჯზე არ შეგინიშნავთ ხოლმე, რომ ქართველი კაცი ქართველი კაცი აღარ არის? განა ვერ ამჩნევთ, რომ ჩვენი ახალი თაობანი თანდათან ჰკარგავენ თავის ნაციონალურ ხასიათსა, თავის განსხვავებულ ფერსა და შეხედულებას? ნუთუ ვერ ატყობთ, რომ ჩვენის უმეცრებით და დაუდევნელობით **რაღაც უცხო, შერეული ტომი ვხდებით,** რომ ჩვენი განსაკუთრებული თვისებანი თანდათან გვიძვრება ხელიდამ და მათ ნაცვლათ სხვას, გარეშეს, ჩვენთვის უცხო თვისებებსა, ხასიათს, ჩვეულებას და ყველაფერს ვითვისებთ?

თუ ყველა ამას ხედავთ, მაშინ თქვენ უნდა დაგვეთანხმოთ, რომ ამისთანა დროში მამულის ნამდვილ შვილებს, გონიერ მოწინავეთ საზოგადოებისა ცოტათი უფრო სხვა, უფრო მძიმე მოვალეობა აწევთ, ვიდრე მაშინ, როცა ხალხის ცხოვრება რიგიანის, ჯეროვანის მსვლელობითა და გზით მიდის.

„დროება“ ჰფიქრობს, რომ ამისთანა დროს განსაკუთრებით საჭიროა, რომ ყოველი **ქართველი ქართველობის დარაჯათ იდგეს, რომ იცავდეს ყოველ ქართველობის თვისებასა და განსხვავებას“** (მესხი, 1963, გვ. 248).

ქვეყნის უბედურების მიზეზი და სათავე სერგეი მესხისათვის კარგად იყო ცნობილი. როცა ილია ჭავჭავაძე სამ ღვთაებრივ საუნჯეზე საუბრობდა, გაუქმებულ სახელმწიფოებრიობას მისტიროდა, ს. მესხიც მის გზას მიჰყვებოდა და ამ ეროვნულ დისკურსში თავისი ხმა შემოჰქონდა. გაზეთის ფურცლებზე შეშფოთებას გამოხატავდა იმის გამო, 1878 წელს აფხაზეთიდან ოსმალეთში 50 ათასამდე აფხაზი გაასახლეს: *„ხომალდებზე წაიყვანეს ოსმალეთში გადასასახლებლად. ისინი სტიროდნენ, ბღაოდნენ, ხელებს საკუთარი სამშობლო ქვეყნისკენ იშვერდნენ და, როცა გვეთხოვებოდნენ, ამბობდნენ: მოახსენეთ რუს მთავრობასაო, რომ ჩვენ ჩვენის ნებით არ მივდივართ, ძალად მივყავართ და ამის გამო მტრის ტყვეებად ჩაგვთვალონ და არა მოღალატეებათო“* (მესხი, 1964, გვ. 21). შავი ზღვისპირეთის დაცარიელება რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგი იყო. კარგად იცოდა ს. მესხმა რაც ხდებოდა, მაგრამ უფრო გაცხადებულად ვერაფერს იტყოდა, ცენზურა არ დართავდა ნებას. თუმცა, როცა გულმოკლული საუბრობს

სოხუმის, ბიჭვინთის, გაგრის... გავერანებაზე, რომ მხოლოდ აქა-იქ შემორჩა თითო-ოროლა სოფელი, რომლებშიც დაყვითლებული და გაღარიბებული ჩერქეზები დგანან და ახლად გადმოსახლებული რუსების კოლონიებია ირგვლივ, უკვე ცხადია მისი მთავარი სათქმელი და ფარული პროტესტიც.

ათასწლეულების განმავლობაში იშვიათად ყოფილა ჩვენი ქვეყანა მოსვენებული და მისი ხალხი – ბედნიერი. ეროვნული იდენტობის დასაცავად და გადასარჩენად ბრძოლა იყო არსებობისათვის თავგანწირვაც. ცალ ხელში ხმალი, მეორეში – გუთანი, სხვა გზა და გამოსავალი არ ჰქონია ამ ბედგამწარებულ ქვეყანას. ისინი სამშობლოზე დარდით, ფიქრითა და სევდანარევი ხმით გვიხსნის:

> „ორი ათასი წელიწადია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიულის ცხოვრებით სცხოვრებს; ორი ათასი წელიწადია, რაც თითქმის დაუწყნარებლად, მოუსვენრად **იბრძვის თავის დედა-მიწის, სარწმუნოების, ენის და ერობის დასაცველად.** თითო მტკაველი თავის სამშობლო მიწისა, ყოველი მცნება ქრისტეს სწავლისა, ყოველი ლექსი თავის სამშობლო ენისა ათას, ათი ათას თავის საუკეთესო შვილად უღირს. ამ ორი ათასი წლის განმავლობაში საქართველოს ხალხს ერთს ხელში მიწის სამუშაო იარაღი ეჭირა და მეორე ხელში შინაგან და გარეგან მტრის მოსაგერებელი იარაღი. მუდამ დღე, მუდამ წამს **ქართველის კაცის ფიქრი იმაზედ იყო, რომ ვინმე იმის ქვეყანას, იმის რჯულს, ენასა და ერობას არ შეჰხებოდა“** (მესხი, 1964, გვ. 337).

„ენა და გვარტომობა“ – სერგეი მესხისთვის უპირველესი სიმდიდრეა, სიწმინდის რანგში აყვანილი. ჩვენთვის ქართული ენა და ამ ენაზე შექმნილი მწერლობა იყო თავშესაფარიც, ჩვენი ეროვნული ენერგიის, ჩვენი გვარტომობის მთლიანობის, გაუტეხელი სულისა და ერთსულოვნების ყველაზე დიდი გამოვლენის ასპარეზი. ქართული ენის მადლმა სხვა ძალა მისცა ქართველ კაცს, ამიტომ ვერავის დაუთმობდა და ვერავის მისცემდა მისი შებღალვის უფლებას:

> „ერთი პატარა და უკანასკნელი შენიშვნაც: იმ ხალხს, რომელსაც ისტორიულათ უცხოვრია, რომელსაც თავისი საკუთარი ლიტერატურა და, ცოტაც არის, შემუშავებული ენა აქვს, – ამგვარ ხალხს, თუნდა ერთი მუჭა ხალხიც რომ იყვეს, ვერც რჩევით და ვერც ნებაყოფლობით ვერ გამოაცვლევინებთ, ვერ მოასპობინებთ თავის თან შეზრდილს, თან-შეხორცებულ ენას და ლიტერატუ-

> რას; ვერ მოასპობინებთ იმიტომ, რომ ეს ენა და გვარ-ტომობა იმას თავის არსებობის საფუძვლად მიაჩნია“ (მესხი, 1963, გვ. 187).

საზოგადო საქმის ერთგულება, ქვეყნისთვის ცხოვრება ს. მესხმა ადამიანის საღვთო მისიად დასახა. მან თავისი ცხოვრებით უჩვენა სამშობლოს იმის კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ უნდა მიიტანო მსხვერპლად საკუთარი სიცოცხლეც კი ქვეყნის უკეთესი *მომავლისათვის: „ჩვენი კულტურის ამ თვალსაჩინო მოღვაწემ „დროებას“ შესწირა მთელი თავისი ნიჭი, ფიზიკური თუ ინტელექტუალური ენერგია, ოჯახური კეთილდღეობა და, არსებითად, სიცოცხლეც“* (ჯოლოგუა, 2013, გვ. 138).

კაცურკაცობა ქვეყნის უანგარო სამსახურად ესმოდ ს. მესხს. ეს იყო მისთვის ნუგეშიც, სიკვდილის ჟამს უკან რომ მოგახედებს და სულიერ სიმშვიდეს მოგგვრის შესრულებული მოვალეობის განცდა:

> „უმაღლესი მღვთიური დანიშნულება ყოველი კაცისა ის კი არ არის, რომ მარტო თავის თავისათვის და ნათესავებისათვის ზრუნავდეს. **კაცური კაცი** ყოველთვის თავისი საზოგადოების და ქვეყნის სასარგებლო საქმეებისათვის უფრო მომეტებულს ჰფიქრობს, ვიდრე – თავის თავისათვის; თითქმის მთელს თავის სიცოცხლეს ის შესწირავს რომელსამე კეთილშობილურს წადილს; ყოველს ღონისძიებას ხმარობს ის, რომ მოუტანოს შეძლებისადაგვარად თავის ქვეყანას სარგებლობა, წინ წასწიოს ისა. აი, უმაღლესი და ყოვლად კეთილშობილური დანიშნულება ღვთის მსგავსად გაჩენილის კაცისა. ნეტარ არს ის, ვისაც **სიკვდილის ჟამს თამამად** შეუძლია სთქვას, რომ იმას ტყუილ-უბრალოდ არ გაუტარებია თავისი სიცოცხლე, არამედ უშრომია თავის სამშობლოს სიკეთისათვის“ (მესხი, 1962, გვ. 48).

წელს, როდესაც სერგეი მესხის დაბადების საიუბილეო 180-ე წლისთავს აღნიშნავს მისი მრავალვნებული სამშობლო, როცა სერგეი მესხის გარდაცვალებიდან 142 წლის შემდეგაც მასზე საუბრობენ, წერენ და მსჯელობენ, ნამდვილად არის უტყუარი ნიშანი იმისა, რომ დრომ, ყველაზე მსახვრალმა და სასტიკმა, დაამოწმა და დაამტკიცა, ვინ სჭირდება ქვეყანას, რომ მას ტყუილუბრალოდ არ გაუტარებია თავისი სიცოცხლე და ამაოდ არ უშრომია თავისი სამშობლოს სიკეთისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაგრატიონი, თ. (1973). *აღწერა სამეფოს საქართველოსა.* ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

„დროება“, 1875, 33.

მესხი, ს. (1950). *წერილები.* სოხუმი: აფხაზეთის სახელგამი.

მესხი, ს. (1962). *თხზულებანი.* ტ. I. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

მესხი, ს. (1963). *თხზულებანი.* ტ. II. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

მესხი, ს. (1964). *თხზულებანი.* ტ. III, თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ხეც, H-1514-დ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მასალა

ჯოლოგუა, თ. (2013). *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია* (XIX საუკუნე). თბილისი: არტანუჯი.

References:

Bagrat'ioni, T. (1973). Aghts'era Samepos Sakartvelosa. Kartlis Tskhovreba. [Description of the Kingdom of Georgia. The Georgian Chronicles]. Vol. IV. Tbilisi: Sabch'ota Sakartvelo.

"Droeba", 1875, 33.

Jologua, T. (2013). Kartuli Jurnalistikis Istoria (XIX Saukune) [History of Georgian Journalism (19th Century)]. Tbilisi: Artanuji.

Meskhi, S. (1950). Ts'erilebi. [Letters]. Sokhumi: Abkhazetis Sakhelgami.

Meskhi, S. (1962). Tkhzulebani. [Literary Works]. Vol. I. Tbilisi: Sabch'ota Sakartvelo.

Meskhi, S. (1963). Tkhzulebani. [Literary Works]. Vol. II. Tbilisi: Sabch'ota Sakartvelo.

Meskhi, S. (1964). Tkhzulebani. [Literary Works]. Vol. III, Tbilisi: Sabch'ota Sakartvelo.

NCM, H-1514-D. Khelnats'erta Erovnuli Tsent'ris Masala [Material from the National Centre of Manuscripts].